



# უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერი აქცია ოზურგეთში



**ალიონი.** ერთი წლის წინ, 2022 წლის 24 თებერვალს, უდიდესი ტრაგედია დაატყდა თავს უკრაინელ ხალხს რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაიღუპა ათი ათასობით სამხედრო და სამოქალაქო პირი, მათ შორის უდანაშაულო ბავშვებიც. 16 მილიონი უკრაინელი დევნილად იქცა და მსოფლიოს მრავალ ყვეყანას შეაფარა თავი. მათ შორის საქართველოში ათასობით უკრაინელი ლტოლვილია. უკრაინელების გვერდით გმირულად იბრძვიან ქართველი მოხალისეებიც.

24 დეკემბერს, ქ. ოზურგეთში, „ჭადრების ბაღში“ შეიკრიბნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და აქცია-პერფორმანსით სოლიდარობა გამოუცხადეს გმირ უკრაინელ ხალხს.

# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.  
 ყოველკვირეული გამოშვება. № 4 (10448) 27 თებერვალი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.


## გურიაში სახელმწიფო რწმუნებული მიგრაციის საქართველოს ორგანიზაციის საქართველოს მისიის ხელმძღვანელს უხვდა



**ალიონი.** გურიაში სახელმწიფო რწმუნებული ვიორგი ურუშაძე მოადგილეებთან და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერთან ავთანდილ თალაკვაძესთან ერთად, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისიის ხელმძღვანელს სანია ჩელეზიჩ ლუკოვაცს შეხვდა. სამხარეთო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე, მხარეებმა შეაჯამეს პროექტის შედეგები, რომელიც 2021-2022 წლებში გურიის რეგიონის ორ მუნიციპალიტეტში - ოზურგეთსა და ჩოხატაურში ადგილობრივ თვითმმართველობებთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა. ასევე, იმსჯელეს დაბრუნებული მირანტების რეინტეგრაციის საკითხზე და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები დასახეს.

**გამოიწერეთ გაზეთი „ალიონი“**  
**6 თვე – 16 ლარი;**  
**12 თვე – 32 ლარი**

## განსაკუთრებული შიშისა და პანიკის საფუძველი არ ბგაქვს – ლაშა სუსნიშვილი გურიაში მომხდარ მიწისძვრებზე



**ალიონი.** 11 თებერვალს, ქ. ოზურგეთიდან 7 კილომეტრში, სოფელ ვაკიჯვარში მიწისძვრა დაფიქსირდა. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრის სიმძლავრემ

4,5 მაგნიტუდა შეადგინა. შემდეგ სხვადასხვა ლოკაციებზე განმეორებითი ბიძგები იყო.

11 თებერვალს 15:33:39, 12-ში 08:06:59, 08:21:00 დაბა გომისბთაზე 4,5, 3,6, 3,1 მაგნიტუდას სიძლიერის მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა... პირველი მიწისძვრის ეპიცენტრი დედამიწის სიღრმეში 4 კილომეტრი იყო, ხოლო მომდევნოების 15–15.

19 თებერვალს, გამოთენიასას, საქართველოში 3 მიწისძვრა მოხდა.

პირველი მიწისძვრა 05:18:17 საათზე ქალაქ ოზურგეთიდან სამხრეთით – 2კმ-ში, სოფელი კვაჭლათთან დაფიქსირდა. მისი სიმძლავრე 3,6 მაგნიტუდა იყო.

მეორედ მიწისძვრა 06:-

27:18 საათზე მოხდა. 3,3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა ქალაქ ოზურგეთიდან – აღმოსავლეთით – 14კმ-ში. კურორტი გომისბთა.

მესამე მიწისძვრა დაფიქსირდა, 07:00:54 საათზე. მიწისძვრის სიმძლავრემ 3,1 მაგნიტუდა შეადგინა და მისი ეპიცენტრი დაბა ჩოხატაური იყო – დასავლეთით – 6კმ. სოფელი ბუქნარი.

იმავ დღეს კურორტ ბაზმაროში 2,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრის ბიძგი დაფიქსირდა...

21 თებერვალს, 02 საათსა და 54 წუთზე 3,5 მაგნიტუდას სიძლიერის მიწისძვრა მოხდა ოზურგეთიდან 3 კილომეტრის დაშორებით სოფელ გომში (შემოქმედის თემა).

მიწისძვრის ეპიცენტრი დედამიწიდან 10 კმ. სიღრმეში იყო.

ამ დღეებში მიწისძვრის ბიძგები დაფიქსირდა ჯავახეთში და ქვემო ქართლში სხვადასხვა ლოკაციაზე.

„განსაკუთრებული შიშისა და პანიკის საფუძველი არ გვაქვს“, – სოფელ ვაკიჯვარში დაფიქსირებული ბიძგების შემდეგ დედამიწის შემსწავლელი ინსტიტუტის გეოგრაფიის დეპარტამენტის უფროსმა, ლაშა სუსნიშვილმა განაცხადა:

„ეს მიწისძვრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოხდა, თუმცა მოგვიანებით ეპიცენტრმა ოდნავ გადაინაცვლა ბაზმაროსკენ. მაგნიტუდა არის 4.3. საბედნიეროდ ეს არ არის მჭიდროდ დასახლებული ტერიტორია. საშუალოზე სუსტი მიწისძვრაა. არ გვაქვს ინფორმაციას რაიმე დაზიანდა, თუ არა კონკრეტული მიწისძვრის შედეგად. ეს არის საშუალოზე დაბალი სიმძლავრის მიწისძვრა, იმაზე სუსტი, ვიდრე 2002-ში თბილისში მომხდარი. აქამდე ხდებოდა მიწისძვრა და ამის შემდეგაც მოხდებოდა მიწისძვრები და ნევატიური კავშირი თურქეთის მიწისძვრასა და დღევანდელ მოვლენას შორის არ არის. განსაკუთრებული შიშისა და პანიკის საფუძველი არ გვაქვს, თუმცა უნდა ვიყოთ ფრთხილად. გადამეტებული საფრთხე არ არსებობს“.

### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
  - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
  - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
  - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
  - შიდა შავთეთრი გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
  - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
  - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
  - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
  - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საცალო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 3,20 ლარი, სამი თვით - 9,60 ლარი, 6 თვით -16 ლარი, ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
**რედაქტორი**  
**ნუგზარ ასათიანი**  
 nugzarasatiani15@gmail.com  
 558 499100  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
 gia\_77@mail.ru  
 551 576060  
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3  
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოქმბათი აციონზე  
 «ალიონით»

## ჩოხატაურში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა კოჯორ-ტაბახმელასთან დაღუპული იუნკერის ხსოვნას პატივი მიაგეს



**ალიონი.** 1921 წელს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ კოჯორ-ტაბახმელასთან გამართულ ბრძოლაში ქართველმა იუნკერებმა თავი შესწირეს სამშობლოს თავისუფლებასა და ერთიანობას. მათ შორის იყვნენ ჩოხატაურელი ახალ-გაზრდებიც. ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა სოფელ სამებაში იუნკერ **მაკარ ბურჭულაძის** ხსოვნას პატივი მიაგეს და საფლავი ყვავილებით შეამკეს.

## ბუკისციხე-ღიღი პანი-სურების მიმართულებით მოძრაობა აღდგენილია




უხვმა ნალექმა, რაც ძირითადად თოვლის სახით მოვიდა, მდინარე სუფისა და გუბაზეულის ხეობებში ზეგავის ჩამოწოლა გამოიწვია. ღიღი ვანი ბუკისციხის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე რამდენიმე ადგილზე ზეგავი ჩამოწვა, რის გამოც შუქიც გაითიშა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების დროული რაგირებით გზაც გაიწმინდა და შუქიც ჩაირთო. ღიღი რაოდენობის მიწის მასა ჩამოწვა ასევე სურების მიმართულებით ცენტრალურ გზაზე. მოთხრილი იყო ხეები. სამუშაოების წარმოებას უამინდობა და რთულად მისადგომი რელიეფი აროულებდა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურები მუდმივ კავშირში იყო მოსახლეობასთან. მობილიზებული იყო ტექნიკა და სურების მიმართულებით გზა გაიწმინდა. „უამინდობის მიუხედავად, გუშინდელი მთელი დამის (22 თებერვალს) მუშაობის შედეგად და დღეს რამოდენიმე ტექნიკის მუშაობის შემდეგ, სურების მიმართულებით ყველა პრობლემურ ადგილზე გზა გაწმინდილია, მინდა მადლობა ვუთხრა გურიის სამხარეო ადმინისტრაციას, გზების დეპარტამენტს, სამაშველო სამსახურს და მერიის შესაბამის სამსახურებს გაწეული დახმარებისთვის და დროული რეაგირებისთვის.“ - განაცხადა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ**. მანვე განაცხადა, რომ ხევში და ბუქსიეთში აღდგა გაზომომარაგება და მადლობას უხდის სოკარ გაზის ოპერატორებს დროული რეაგირებისთვის.

## ოზურგეთელმა მოფარიაკავემ ბრინჯაო აიღო

ქ. თბილისში ფარ-იკა-ობაში, კადეტთა შორის საქართველოს პირველობა გაიმართა. სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ფარიკაობის სექციის სპორტსმენმა **ალექსანდრე თითქემ** მიიღო. ალექსანდრე თითქემ 2010 წელს დაბადებულია შორის ასპარეზა და შინ ბრინჯაოს მედალი წააიღო. ალექსანდრე თითქემ ასპარეზობისთვის მწვრთნელმა **მალხაზ კვაჭაძემ** მოამზადა.



## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია ტელეკომპანია პირველის მიერ გაპრცელებულ დეზინფორმაციას პასუხობს



## მოქალაქეთა მიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან მოქალაქეთა ყოველკვირეული მიღება გაიმართა. **ალექსანდრე სარიშვილი** პირველ მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძესთან ერთად გაეცნო მოქალაქეთა საჭიროებებს. „ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის საკითხები, რომლითაც მოსახლეობა ჩვენთან შემოდის. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მათი საჭიროებები დროულად იქნას მოგვარებული“ - აღნიშნა მერმა. ყოველი კვირის პარასკევი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან მოქალაქეთა მიღების დღეა.

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაპირალის საბავშვო ბაღს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაპირალის საბავშვო ბაღს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. განახლებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გახსნას გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქეთევან მთისწრაფეშვილი** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. 2021 წლის შემოდგომაზე საბავშვო ბაღის შენობა ხანძარმა ნაწილობრივ დაზიანა და მის აღსადგენად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 75 979 ლარი გამოიყო. საბავშვო ბაღი 80 ბავშვზეა გათვლილი.

# ირაკლი ღარიბაშვილი – ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფასები შემცირდეს, არაბონივრული, მაღალი მარჟებით არ იყიდებოდეს ძირითადი პროდუქტები



ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფასები შემცირდეს, არაბონივრული, მაღალი მარჟებით არ იყიდებოდეს ძირითადი პროდუქტები. ეს ჩვენს მოსახლეობაზე, ჩვენს ხალხზე აისახება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, ფასნამატი 70, 80, ზოგ შემთხვევაში კი, 100%-ით არის გაზრდილი და ეს არის მიუღებელი.

„საკითხი ეხება ჩემ მიერ ორი კვირის წინ გაცემულ დავალებას, რომელიც შეეხებოდა სურსათისა და საწვავის ფასებს. ამის თაობაზე არაერთი შეხვედრა გაიმართა. ეკონომიკის, ფინანსთა და სოფლის მეურნეობის მინისტრები იყვნენ აქტიურად ჩართული. კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელობა მთლიანადაა ჩართული ამ პროცესში. ძალიან ბევრი შეხვედრა გაიმართა როგორც იმპორტიორებთან, ისე დიდ ქსელებთან, რითილის მფლობელებთან. მინდა კიდევ ერთხელ ავუხსნა ჩვენს ხალხს და საზოგადოებას, – სურათი, რომელიც გამოიკვეთა არის შემდეგი, რომ ის ინფორმაცია, რაც მე გავაჟღერე, ანუ ჯამურად, საერთო შეწონილი, გამოდის ისე, რომ ფასნამატი არის 70, 80, ზოგ შემთხვევაში 100%-ით გაზრდილი და, რა თქმა უნდა, ეს არის მიუღებელი. ამიტომ, ჩვენ ახლა დავიწყეთ აქტიური მუშაობა, თუ როგორ დარეგულირდეს ეს საკითხი. ჩვენ მოვისმინეთ ასევე იმპორტიორების განმარტებები, რომ აქედან,

70-80%-იდან, მათი მოგება არ არის, არამედ, ეს გარკვეულწილად დამოკიდებულია რითილის, ანუ ამ დიდი ქსელების ერთგვარ წესებზე, რომლებიც არის მათ მიერ განსაზღვრული და სწორედ ამ წესებთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს სერიოზული, ლეგიტიმური კითხვები. ეს წესები არ არის აპრობირებული, ევროპაში ასეთი წესები არ მოქმედებს, ეს საკითხი არის დარეგულირებული ევროკავშირის, ევროპის ქვეყნებში, ზოგადად, მთელ დასავლურ სამყაროში”, – განაცხადა პრემიერმა.

ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მისივე დავალებით, ეკონომიკის სამინისტრო მოამზადებს შესაბამის კანონპროექტს, რომელიც შეეხება ევროლიბერტიზაციას სამართლიანი ვაჭრობის შესახებ. პრემიერის თქმით, იმპორტიორებს ექნებათ განსაზღვრული მარჟები, ფასნამატები და ასევე „რითილი“ ექნება თავისი განსაზღვრული წესები.

„ჩემი დავალებით, ეკონომიკის სამინისტრო ახლა მოამზადებს შესაბამის კანონპროექტს, რომელიც შეეხება ევროლიბერტიზაციას სამართლიანი ვაჭრობის შესახებ. ამიტომ, ჩვენ პარალელურად გავაგრძელებთ მუშაობას იმპორტიორებთან, ასევე, დიდი ქსელების წარმომადგენლებთან და, პარალელურად, ჩვენ ასევე წარუდგენთ ამ კანონპროექტს პარლამენტს, და მინდა გამოვთქვა იმედი, რომ პარლამენტის მხრიდან მზაობა იქნება, და ეს დაადასტურეს, და მზარს დაგვიჭერს, რომ ევროლიბერტიზაცია, ეს რეგულაციები შემოვიღოთ

ჩვენც. სხვანაირად უნდა იქნება ჩვენი მხრიდან რაღაც ხელოვნური ჩარევა განვახორციელოთ. ამიტომ, გამოვინახეთ გზა, რომ ისეთი პრაქტიკა, რომელიც ევროპამ უკვე გაიარა, ჩვენც გადმოვიტანოთ ჩვენს ქვეყანაში. ამით, რეალურად, სამართლიანი წესები დაწესდება. იმპორტიორებს ექნებათ განსაზღვრული მარჟები, ფასნამატები და ასევე რითილის ექნება თავისი განსაზღვრული წესები. ეს არის გამოსავალი, რაც ამ მოკლე ორკვირიანი მუშაობის შედეგად გამოიკვეთა.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფასები შემცირდეს, არაბონივრული, მაღალი მარჟებით არ იყიდებოდეს ძირითადი პროდუქტები. ეს ჩვენს მოსახლეობაზე, ჩვენს ხალხზე აისახება. ინფლაციაზე როცა ვსაუბრობთ, ინფლაციის გასული თვის მაჩვენებელი იყო 9,4%. აქედან 6,1% არის სურსათის ფასები. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ როგორც კი დარეგულირდება ეს საკითხები, და ეს შეიძლება ძალიან მალე მოხდეს, ინფლაციაც ჩამოვა იმ ნიშნულზე, რომელიც ჩვენ გვაქვს განსაზღვრული, 5% დაახლოებით, ამ წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, ეს სიკეთე აისახება ჩვენი მოსახლეობის, ჩვენი ხალხის ჯიბეზე და მათ შემოსავლებზე. ამიტომ, ამ საკითხზე ასეთი გამოსავალი გამოვინახეთ. მთავრობა მალე გაუგზავნის ამ კანონპროექტს პარლამენტს და, იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე მივიღებთ შესაბამის რეგულაციებს. სხვა შემთხვევაში, უბრალოდ, გამოსავალი არ ჩანს. არ მინდა, რომ ვინმეს გაუჩინოთ ვაც-და, რომ მთავრობა უხეშად ერევა ბიზნესის საქმიანობაში. ეს ჩვენი ხელწერა და პრაქტიკა არ არის. ასეთი გამოსავალი გამოვინახეთ და ისე, როგორც წამლების შემთხვევაში დავარეგულირეთ და ფასები ჩამოვწიეთ – გაიფუდა 60-80%-ით, შემოვიტანეთ ასევე ევროპული პრაქტიკა რეფერენტულ ფასებთან დაკავშირებით, ასეთივე ევროპულ-ლაციისა და ევროლიბერტიზაციის შემოღება გადაწყვიტეთ და, იმედი გვაქვს, რომ ძალიან მალე დაიწყებს ფასები კლებას”, – განაცხადა პრემიერმა.

## თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა თურქეთში მომუშავე მშენებლებს მადლობა გადაუხადა



თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, **რეჯეფ თაიფ ერდოღანი**, პათაის პროვინციაში, ქალაქ ანთაქიაში ჩავიდა, სადაც ქართული სამშენებლო ჯგუფის წევრები სხვადასხვა ქვეყნის სამშენებლო სამსახურებთან ერთად აწარმოებენ

მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამშენებლო ღონისძიებებს. თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს პირადად შეხვდა და სამშენებლო ღონისძიების მიმდინარეობას ადვილზე

გაცნო. რეჯეფ თაიფ ერდოღანმა მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამშენებლო ღონისძიებებში ჩართულ სამშენებლო ჯგუფებს მადლობა პირადად გადაუხადა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მენეჯერ-მსახურები პათაის პროვინციაში, ქალაქ ანთაქიაში, თურქულ მხარესთან კოორდინაციით, ამ დრომდე ასორციელებენ მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამშენებლო ღონისძიებებს. ქართული სამშენებლო ჯგუფი თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით იმყოფება. ქართველ მშენებელთა შორის გურიის რეგიონის სამშენებლო სამსახურის მენეჯერ-მსახურებიც არიან.

## ანსამბლი „ხელხვაპი“ 50 წლისაა



ანსამბლი 1973 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამათში შეიქმნა. „ხელხვაპის“ რეპერტუარში 100-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა და საგალობელია. მათ შორის, „ნადური“, „ვილისა“, „ხასანბეგურა“ და ა.შ. ანსამბლ „ხელხვაპს“ მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ კულტურულ ღონისძიებაში, ფესტივალსა და კონკურსში.


გულოცავთ ანსამბლს 50 წლის იუბილეს და წარმატებებს ვუსურვებთ! – წერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია. გაზეთ „ალიონის“ რედაქცია ულოცავს ანსამბლ „ხელხვაპს“ და მის ხელმძღვანელს ბიძინა მყავიას იუბილეს.

## ხალხური რეჟისის ადგილობრივი ოსტატების დაჯილდოება გაიმართა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში გაიმართა ხალხური რეჟისის ადგილობრივი ოსტატების დაჯილდოება. 2022 წლის ნოემბერში, ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალში, რომელიც ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივითა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა, მონაწილეობა მიიღო ხალხური რეჟისის ადგილობრივმა ოსტატებმა, რომელთაგან გამოვლინდნენ გამარჯვებულები: **მამია მენააღი** – ხეზე კვეთის ოსტატ; **ლელა ბასილია** – ცვილით ძერწვა და ოქრომკედით ქარგვა; **მალხაზ კუჭუხიძე** – ხალხ-

ურ საკრავთა ოსტატი; **მანანა მაპარიძე** – ეროვნული სამოსის ოსტატი; **მარინა ცინტაძე** – ნაქარგი ფერწერული ტილოები; **ამირან ლეშავა** – კილის წნულები; **ნინო პილაძე** – თოჯინების ოსტატი; **გიორგი დათაშვილი** – ჩინილაკების ოსტატი; **მამა სურციანი** – ბამბუკზე კვეთის ოსტატი. გამარჯვებულებს საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრისგან გადაეცათ ლაურეატის წოდებები. ასევე, კულტურის ცენტრის ღირებულებას – **კობა ბანელიძემ** მონაწილეობის მადლობის სიგელები გადასცა.











# რუსთაველის თეატრში რეჟისორ ვასო ჩიგოგიძის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჟიბნის პროფენტაცია გაიმართა



შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ თეატრში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული წიგნი „დონ კიხოტი ოზურგეთიდან“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნის გამოცემა რეჟისორ ვასო ჩიგოგიძის 70 წლის იუბილეს უკავშირდება.

წიგნი „დონ კიხოტი ოზურგეთიდან“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნის გამოცემა რეჟისორ ვასო ჩიგოგიძის 70 წლის იუბილეს უკავშირდება.

**ლაკვაბე, თეატრმცოდნე ვა ცუტაიშვილი, ცნობილი ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი.**

ლონისძეებს დაესწრო და სიტყვით გამოვიდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **თეა წულუკაძე**.

შემდეგ კი წიგნი-ალბომის შესახებ ისაუბრა ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **ვასო ჩიგოგიძემ**.

წიგნი-ალბომი „დონ კიხოტი ოზურგეთიდან“ ვასო ჩიგოგიძის შემქმნელი და ბიოგრაფიული მონაცემებს, მის მოგონებებს აერთიანებს. წიგნის განსაკუთრებულ ელფერს აძლევს ვასო ჩიგოგიძისა და გამოჩენილი პერსონაჟის, დონ კიხოტის, დაკავშირება, მათი საერთო პიროვნული მასსიათაობის გათვალისწინებით. ალბომი ორენოვანია (ქართულ-ინგლისური) და მასზე მკვლევარ-კრიტიკოსი, ლამა ჩხარტიშვილი და დიზაინერი, ირინა აბუქაძე, მუშაობდნენ.

წიგნი მოგვითხრობს როგორც ვასო ჩიგოგიძის, ასევე გურიის ისტორიის შესახებაც, ასახავს რა გურიელების ცხოვრებას, დაწყებული გურიელები



მოვლირითებით ამერიკაში, ვიდრე დღევანდელ დღემდე აღსანიშნავია, რომ ვასო ჩიგოგიძის ცხოვრება მთლიანად უკავშირდება 155 წლიანი ისტორიის მქონე ოზურგეთის თეატრს, ვინაიდან, იგი გახლავთ ოზურგეთის ალექსანდრე წულუჩაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ვასო ჩიგოგიძე ნოდარ ღუმბაძის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. ასევე, იგი არის საქართველოს თეატრალური საზოგადოების გურია-სამეგრელო, ზემო სვანეთის რეგიონის განყოფილების თავმჯდომარე. ვასო ჩიგოგიძეს, მოღვაწეობის მანძილზე, მღვებელი აქვს არაერთი

წოდება, ვიღო და პრეზია. ის გახლავთ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ქართული თეატრის დეკანი, ვარსკვლავ-ოსანი, ღირსების ორდენის კავალერი, ასევე, ალექსანდრე წულუჩაძის, დიმიტრი ალექსიძისა და გიჟო ჟორდანიას ჯილდოების მფლობელი.

## მიხეილ შავიშვილის გახსენება



მიხეილ გერმანეს ძე შავიშვილი დაიბადა 1920 წლის 15 ოქტომბერს, სოფელ ჭანიეთში. მამამისი მჭედელი იყო. დედა — ვერა ვამბერიძე შეისანიშნავს მომღერალი, მოკრიმანჭულე, კარგად უკრავდა ჩონგურსა და გიტარაზე. სწორედ დედა იყო მიხეილის პირველი მასწავლებელი.


ცნობილ მომღერალ-მგალობელ ნესტორ კონტრიძესთან მიიღო. ნესტორმა შემთხვევით მოისმინა მიხეილის ნამღერი „მანანა“, რომელსაც მეზობლებთან ერთად მღეროდა, ძალიან მოსწონებია მგალობელს მიხეილის ხმა და უკითხავს: „პირველ ხმას რომელი მღეროდაო“.

ოდა სხვადასხვა კონცერტებზე. შემდეგ კი მიხეილი სოფლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელობდა.

ქედს ვიხრი მათი ხსოვნის წინაშე. სწორედ ამ თაობის დამსახურებაა, რომ ანსამბლი „შვიდეკაცა“ ცნობილი ანსამბლი გახდა და ძალიან დიდხანს ბრწყინავდა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სწორედ „შვიდეკაცას“ საშუალებით გავხდი მე ძალიან ბევრი უცხოური ტურნეების მონაწილე და ამიტომაც შემიძლია თამამად ვთქვა: — მე მიყვარს ჩემი „შვიდეკაცა“.

## გულოცაბო! რეჟო თედორაძე 90 წლისაა

დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა ფაზისის აკადემიის გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარეს, კულტურის სფეროს დამსახურებულ მოღვაწეს, გურიის კოლორიტს, ბატონ **რეჟო თედორაძეს**.



თავმჯდომარე ირაკლი კუჭავა. ვახუთ „ალიონის“ რედაქცია ულოცავს ბატონ რეზო თედორაძეს საიუბილეო თარიღს.

## ლანჩუთში სამართაშორისო ტურნირი გაიმართა.

14-19 მარტი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში ნოე ჟორდანიას თასი-2023



14-19 მარტს ლანჩუთში, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ლონისძევათა კლუზ

ნდრით გათვალისწინებული საერთაშორისო ტურნირი „ნომ ჟორდანიას თასი - 2023“ გაიმართა.

მზა, ღრუბლი +7+18	მზა, ღრუბლი +7+21	წვიმა -6+10	ალღირი წვიმა +3+9	ალღირი წვიმა +4+15	ალღირი წვიმა +4+9	ალღირი წვიმა +3+12
27 თებერვალი ხუთშაბათი	28 თებერვალი პარასკევი	1 მარტი შაბათი	2 მარტი კვირა	3 მარტი ორშაბათი	4 მარტი სამშაბათი	5 მარტი ოთხშაბათი